

პერსონალური გამოყენების სისტემები 2 (ინფორმატიკა)
II სემესტრი.2018-2019 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

უნდა შეიქმნას არითმეტიკული პროგრესია სტრიქონში 1-დან 400-მდე ბიჯით 3 შეუსაბამეთ Series დიალოგურ ფანჯრის ველებს შესაბამისი პარამეტრები:

| | | | |
|------------|----------|----------|---|
| Series in | Answer 1 | ?????... | ▼ |
| Type | Answer 2 | ?????... | ▼ |
| StopValue | Answer 3 | ?????... | ▼ |
| Step Value | Answer 4 | ?????... | ▼ |

კითხვა 2

რა მოქმედებას ასრულებს ფუნქცია TRIM ?

აირჩიეთ ერთი:

- a. წაიკითხავს არგუმენტში მითითებული უჯრის შიგთავსის მარცხნიდან N სიმბოლოს,
- b. წაიკითხავს არგუმენტში მითითებული უჯრის შიგთავსის მარჯვნიდან N სიმბოლოს,
- c. ერთ უჯრაში აერთიანებს ცალკეულ უჯრებში განთავსებულ სხვადასხვა ტიპის მონაცემებს
- d. არგუმენტში მითითებული ტექსტიდან წაშლის ყველა ზედმეტ "space" სიმბოლოს

კითხვა 3

რა შედეგი მიიღება ფორმულით =MOD(11,4)?

აირჩიეთ ერთი:

- a. 2
- b. 3
- c. 0.25
- d. 2.5

კითხვა 4

არის თუ არა შესაძლებელი დიაგრამის ტიპის პარამეტრების შეცვლა მისი აგების შემდგომ?

აირჩიეთ ერთი:

- a. შეიძლება შეიცვალოს დიაგრამის ტიპიც, პარამეტრებიც, მონაცემებიც, ადგილმდებარეობაც
- b. ყველაფრის შეცვლა შეძლება დიაგრამის ტიპის გარდა
- c. შეუძლებელია, დიაგრამა ასაგებია თავიდან
- d. შეიძლება მხოლოდ ზომისა და ადგილმდებარეობის შეცვლა

კითხვა 5


უჯრაში ჩაწერეთ ტექსტი „ჯამური გადასახადი“, დაუნიშნეთ ფორმატირების პარამეტრი Wrap Text, რა მოხდება?

აირჩიეთ ერთი:

- a. ტექსტი განთავსდება ორ მეზობელ უჯრაში
- b. ტექსტის ზომა შემცირდება ისე, რომ მოთავსდეს ერთ უჯრაში
- c. ტექსტი განთავსდება ერთ უჯრაში, რამდენიმე სტრიქონზე
- d. ტექსტი შეიცვლის ორიენტაციას, შემობრუნდება 90 გრადუსით

კითხვა 6

რა შემთხვევაში გამოიტანება ფანჯარა?



აირჩიეთ ერთი:

- a. გლობალური ქსელით (ინტერნეტით) მიღებული ფაილების გახსნა
- b. ნებისმიერი ფაილის გახსნისას
- c. როდესაც ვორდის ფაილი გაიხსნება ექსელის გარემოში
- d. Protected View რეჟიმში ფაილების დათვალიერებისას

კითხვა 7

სურათის მიხედვით რას უდრის არითმეტიკული პროგრესიის სხვაობა?

| | | |
|--|--|----|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | 2 |
| | | 8 |
| | | 14 |
| | | 20 |
| | | 26 |
| | | 32 |
| | | 38 |

აირჩიეთ ერთი:

- a. 3
- b. 32
- c. 14
- d. 6

კითხვა 8


როგორ არის შესაძლებელი Sheet1, Sheet2 და Sheet3 გვერდებზე ერთდროულად შევიტანოთ მონაცემები:

აირჩიეთ ერთი:

- a. დავაყენოთ Control Panel / Region and Language
- b. შევიტანოთ ერთ გვერდზე და შემდეგ დავაკოპიროთ სხვა გვერდებზე
- c. ასეთი რამ არ არის შესაძლებელი
- d. წინასწარ მონიშნეთ წიგნის შესაბამისი გვერდები

კითხვა 9

ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედების შესრულება შეიძლება მონიშნული ბრძანებით?



აირჩიეთ ერთი:

- a. ტექსტური სიის გაკეთება
- b. გეომეტრიული პროგრესიის აგება
- c. რიცხვითი მწკრივის აგება
- d. თარიღის მწკრივის აგება

კითხვა 10


B1 უჯრაში ჩაწერილია სიტყვა იმს, C1-ში ჩაწერილია სიტყვა ფაკულტეტი. რა მიღება C1 უჯრაში =B1&"-"&C1 ბრძანების შესრულების შემდეგ?

აირჩიეთ ერთი:

- a. იმს ფაკულტეტი
- b. ჩაიწერება 0
- c. იმსფაკულტეტი
- d. იმს-ფაკულტეტი

კითხვა 11


შეუსაბამეთ Sparkline მინი-გრაფიკის ვიზუალური ტრენდების ტიპები



- Line – Answer 1
- Column – Answer 2
- Win/Loss – Answer 3

კითხვა 12

რას აკეთებს კოპირებული მონაცემების ტრანსპონირებული (Transpose) ჩასმა?



აირჩიეთ ერთი:

- a. მონაცემთა ტრანსპონირებული ჩასმისას დიაპაზონის სვეტები და სტრიქონები იცვლიან ადგილებს.
- b. კოპირებული დიაპაზონის მონაცემების ახალი ჯამური მნიშვნელობების გამოთვლას
- c. კოპირებული დიაპაზონის დაუფორმატებელი მონაცემების მნიშვნელობების (Value) ჩასმას
- d. კოპირებული დიაპაზონის მონაცემების მნიშვნელობების (Value) ჩასმას.

კითხვა 13

მატრიცის მატრიცაზე გასამრავლებლად კლავიატურაზე უნდა დავაჭიროთ შემდეგ კლავიშებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. CTRL+SHIFT+ENTER
- b. CTRL+SHIFT
- c. OK ღილაკს
- d. SHIFT+ENTER

კითხვა 14

$$\begin{cases} 2 \cdot X_1 + 6 \cdot X_2 + 4 \cdot X_3 = 2 \\ 4 \cdot X_1 + X_2 - 2 \cdot X_3 = 3 \\ -5 \cdot X_1 + 4 \cdot X_2 - 8 \cdot X_3 = 7 \end{cases}$$

მოცემულია წრფივ განტოლებათა სისტემა

რომელი ჩანაწერია სწორი მთავარი დეტერმინანტის გამოსათვლელად

აირჩიეთ ერთი:

a.

| | | |
|----|---|---|
| 2 | 2 | 2 |
| 4 | 3 | 3 |
| -5 | 7 | 7 |

b.

| | | |
|----|---|---|
| 2 | 6 | 2 |
| 4 | 1 | 3 |
| -5 | 4 | 7 |

c.

| | | |
|---|---|----|
| 2 | 6 | 4 |
| 3 | 1 | -2 |
| 7 | 4 | -8 |

d.

| | | |
|----|---|----|
| 2 | 6 | 4 |
| 4 | 1 | -2 |
| -5 | 4 | -8 |

კითხვა 15


რომელ შეცდომებზე მიუთითებს უჯრაში შემდეგი ჩანაწერი #DIV/0?

აირჩიეთ ერთი:

- a. ფორმულის მიერ მიღებული გამოთვლის შედეგი არ ეტევა უჯრაში.
- b. უჯრაში ჩაწერილი ფორმულა ჩანს ფორმულის სტრიქონში
- c. უჯრაში ხდება ნულზე გაყოფა;
- d. ფორმულის ტექსტის ან არითმეტიკული გამოთვლების დროს დაშვებულია უზუსტობა;

კითხვა 16

რა ტიპის მონაცემებია მოცემული A სვეტში



აირჩიეთ ერთი:

- a. დროითი
- b. თარიღის
- c. ტექსტური
- d. ციფრული

კითხვა 17

D2-ში შეტანილია ფუნქცია =SUMIF(A2:A6,A2,B2:B6), რომელიც შეასრულებს ცხრილიდან ამორჩეული "საგნის" შესაბამისი "ქულების" შეკრებას. რომელია სწორი პასუხი?

| | A | B | C | D | E |
|---|-------------|------------------|---|---|---|
| 1 | საგანი | ქულათა რაოდენობა | | | |
| 2 | მათემატიკა | 50 | | | |
| 3 | ინფორმატიკა | 46 | | | |
| 4 | ფიზიკა | 80 | | | |
| 5 | მათემატიკა | 40 | | | |
| 6 | მათემატიკა | 10 | | | |
| 7 | | | | | |

აირჩიეთ ერთი:

- a. 100
- b. 226
- c. 50
- d. 90

კითხვა 18

საჭიროა, რომ ცხრილის სათაური ყოველ დაბეჭდილ ფურცელზე ჩანდეს. როგორ მოვიქცეთ?

აირჩიეთ ერთი:

- a. მოვნიშნოთ სათაური Page Setup / Sheet ჩანართის Rows to repeat at top ველში
- b. მივუთითოთ სათაურის მისამართი Custom Views დიალოგურ ფნჯარაში
- c. ბეჭდვის წინ შევასრულოთ Page Setup / Fill Down ბრძანება
- d. ბეჭდვის წინ შევარულოთ Insert / Rows ბრძანება

კითხვა 19

ფურცლის უჯრისათვის ან დიაპაზონისთვის სახელის დარქმევა ხდება:

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი:

- a. მოვნიშნოთ უჯრა ან დიაპაზონი → Name Box ველში ავკრიფოთ სახელი →Enter
- b. მოვნიშნოთ უჯრა ან დიაპაზონი Formula/Defines Names/Define Name→OK
- c. მოვნიშნოთ უჯრა ან დიაპაზონი Insert →Name →Define
- d. მოვნიშნოთ უჯრა ან დიაპაზონი Insert →Name Box →Enter

კითხვა 20

მონაცემთა დიაპაზონის პირველ ერთ ან ორ სტრიქონში უნდა ჩაიწეროს სათაურები, რომლებიც წარმოადგენენ ველების სახელს და აღწერენ შესაბამის სვეტში განლაგებული მონაცემების შინაარსს. სათაურის შემდეგ აუცილებელია სტრიქონის გამოიტოვება;

აირჩიეთ ერთი:

- True
- False